



საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი
DEPARTMENT OF LICENSES AND PERMITS

საქართველო, 0114, გულუას ქა, ტელ. 72 72 60

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
ლიცენზიებისა და ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი

ვიორგი ცხაკაია
(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

ეკოლოგიური ექსპერტიზის

დასკვნა პროექტზე

№ 5

30 01 2008 წ.

I. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება – აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგური
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი –
ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“ თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 16ა
3. განხორციელების ადგილი – ქედის რ-ნი, სოფ. მახუნცეთი
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 27.12. 07
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – სამეცნიერო კვლევითი ფირმა
„გამა“

II. ძირითადი საპროექტო ბადაყვავიტილებანი

ს.ს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია: აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. წარმოდგენილი დოკუმენტაცია მიზნად ისახავს აჭარის რეაბილიტაციას, შემდგომ ექსპლუატაციას და განსაზღვრულია გარემოზე პოტენციურ ზემოქმედებათა ხასიათი, როგორც სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების, ასევე ჰესის ექსპლუატაციის ეტაპებზე.

აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგური მდებარეობს, ქედას რაიონის სოფელ მახუნცეთში მდ. ჭოროხის მარჯვენა შენაკადზე მდ. აჭარისწყალზე. ექსპლუატაციაში გაიშვა 1937 წელს. სათაო ნაგებობები მდებარეობს ქედას რაიონის სოფ. პირველი მაისის ტერიტორიაზე, ხოლო ძალოვანი კვანძი სოფ. მახუნცეთში.

კაშხალი მოწყობილია სოფ. პირველი მაისის მიმდებარე ტერიტორიაზე. კაშხალი გრავიტაციულია, რომლის ტანი აგებულია გაბიონის წყობიდან, სიმაღლე 5,0 მეტრი. 1998 წელში ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების შემდეგ კაშხლის ზედაპირი დაიფარა რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით. კაშხლის ტიპის გათვალისწინებით ჰესი მიეკუთვნება ნაგებობას, სადაც წყლის დაგროვება და რეგულირებული ხარჯვა არ ხდება. სადერივეციო გვირაბის საპროექტო გამტარიანობა შეადგენს 45 მ³/წმ-ს. ჭარბი ნაკადი სისტემატურად გადაედინება კაშხლის თაღზე. კაშხლის საშუალებით წყლის ძირითადი ნაკადის მიმართვა ხდება მდინარის მარცხენა ნაპირისაკენ, სადაც მოწყობილია რკინა-ბეტონის წყალმიმღები ნაგებობა. წყალმიმღების ძირი წარმოდგენილია ასევე რკინა-ბეტონის უხეში გისოსებით, რომლის დანიშნულებაც მდინარის მსხვილი ნატანის შეკავება (დიდ მოცულობის ქვები, ხეები და სხვა). წყალმიმღების შემდეგ მოწყობილია 3 ორკამერიაანი სალექარი, რომლის ქვედა კამერაში ხდება წყალში არსებული ნალექის დაგროვება. სალექარის გარეცხვისათვის ქვედა კამერაზე მოწყობილია ფარები, რომელთა გაღების შემთხვევაში ნალექი გადაედინება მდ. აჭარისწყლის კალაპოტში. სალექარებიდან წყალი გადაედინება საწნეო ავზში, საიდანაც ხდება სადერივაციო გვირაბის შესასვლელში. გვირაბის წინ მოწყობილია გისოსები, რომელიც უზრუნველყოფს მოტივტივე ნაწილაკების შეკავებას. სათავო ნაგებობის განთავსების უბანზე მდ. აჭარისწყალი მიედინება შედარებით ვიწრო ხეობაში. მდინარის კალაპოტი აგებულია მსხვილი ლოდნარით და ქვიშა-რიყნარიაანი ნალექებით, რომლის ძირიც აგებულია თიხური ქანებით.

წყალმიმღებში ფსკერული ნატანის შელწევის საწინააღმდეგოდ გამოყენებული იქნება შესაბამისი ღონისძიებები. არსებული სქემით წყალმიმღების ზღურბლი ირეცხება არა შემომსვლელი ნაკადით, არამედ ნაკადის ბრუნვითი მოძრაობით. აღნიშნული ტიპის ნაკადის მიღება ხდება მიმართულების მარეგულირებელი ტექნიკური ნაგებობით, რომელიც განთავსებულია წყალმიმღების კედელზე.

ჰესის შენობა სამსართულიანია. 1 სართულზე განლაგებულია ტურბინები გამომყვანი კამერებით, მეორეზე – დამხმარე სათავსოები, ხოლო მესამეზე – გენერატორების დარბაზი. გამოყენებული წყლის ასარინებლად ფუნქციონირებს ცენტრალური არხი, რომელიც ჩაედინება მდ. აჭარისწყალში. სამანაქანო დარბაზის კორპუსთან დგას დისკური საკეტების ნაგებობა და მის თავზე გენერატორების გამომყვანების შენობა. ტურბინების დარბაზში დგას 2 ვერტიკალური რადიალურ-

ღერძული ტურბინე (ფრენსისი ტიპის ტურბინები), თითოეული 8 000 კვტ სიმძლავრით. 110 კვ-იან სალტეებიდან გადის ელექტროგადამცემი 1 ხაზი, რომელიც ამარაგებს ქ. ბათუმს და ჩართულია საქართველოს ენერგოსისტემაში. 35 კვ-იან სალტეებიდან გამოსული ელექტროგადამცემი ხაზები კი ამარაგებენ აჭარის რაიონებს.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში განხილულია ზემოქმედების ქვეშ მოქცეული გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი: კლიმატი და ჰიდროლოგია; გეოლოგია და ჰიდროგეოლოგია; ნიადაგები და ძირითადი ლანდშაფტები; ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ფონური მდგომარეობა; ხმაურის გავრცელების ფონური მდგომარეობა; ბიომრავალფეროვნება; სოციალური ასპექტები;

ჰესის რეაბილიტაცია განპირობებულია ბოლო წლებში მისი სიმძლავრის და შესაბამისად გამოძუშავების შემცირებით, რაც გამოწვეულია არსებული დანადგარ-მოწყობილობების მოძველებით. აღნიშნულის გარდა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოყვანილი ჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიხედვით, საჭიროა სადერივაციო გვირაბის სათავე ნაგებობის ნაწილის აღდგენა, სადერივაციო გვირაბის შეკეთება და სალექარის გამრეცხი რაბების ფარების შეცვლა. სარემონტო სამუშაოებს საჭიროებს აგრეთვე საგენერატორო შენობა, შესაცვლელია აგრეგატების დაზიანებული დეტალები, ზეთის საცავის ტერიტორიაზე მოსაწყობია სანიაღვრე წყლების გამწმენდი დანადგარი და სხვა. აღნიშნული სამუშაოების განხორციელების გარეშე მოსალოდნელია ჰიდროტექნიკური ნაგებობების და ძალოვანი კვანძის კომუნიკაციების ავარიული დაზიანება, რაც გამოიწვევს ჰესის ფუნქციონირების დიდი ხნით შეჩერებას და მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს.

ჰესის ექსპლუატაციის პერიოდში მოსალოდნელია, როგორც საწარმოო, ასევე საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა. საწარმოო ნარჩენებიდან აღსანიშნავია ნამუშევარი ტურბინის ზეთი და სათაო ნაგებობის წყალმიმღებზე დაგროვილი სხვადასხვა ნარჩენები, მათ შორის: მდინარის მიერ შემოტანილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები და წყალმიმღების სალექარებში დაგროვილი ნალექი. ნარჩენების გაუვნებლობისათვის სათაო ნაგებობებზე უნდა მოეწყოს საკომპოსტე ორმო, ხოლო ძალოვანი კვანძის ტერიტორიებზე საჭიროა განთავსდეს ჰერმეტიკული კონტეინერები და უზრუნველყოფილი იქნება ნარჩენების ორგანიზებული გატანა დაბა ქედას ნაგავსაყრელზე. ჰესის ექსპლუატაციის პერიოდში მცენარეულ საფარზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. გაბიონის ტიპის კაშხალზე უმეტეს შემთხვევაში ხდება წყლის გადაღინება, ხოლო კაშხალი ტერასულად ნაგებია რაც არ აფერხებს მდინარის კალაპოტში თევზის მოძრაობას. თევზის უმეტესი სახეობების ქვირითობის პერიოდში მდინარე გამოირჩევა მაღალი ხარჯით, რაც ასევე ხელს უწყობს კაშხლის ზედა ბიეფში თევზის გადაადგილებას.

ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესში დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები საფუძვლად უდევს წინამდებარე დასკვნის მესამე თავს.

III. პირობები

სარეაბილიტაციო სამუშაოების პერიოდში ნიადაგის ზედაპირისა და მცენარეული საფარის დაცვა უნდა განხორციელდეს მშენებლობის სათანადო დაგეგმვითა და დაზიანებული მცენარეული საფარის შემდგომი აღდგენით;

ექსპლუატაციის დროს, რომ არ მოხდეს ნიადაგის დაბინძურება ზეთით და სხვა ქიმიური ნივთიერებებით საჭიროა დანადგარ-მოწყობილობების რეგულარული შემოწმება. ადგილზე დანადგარების გარეცხვა და სარემონტო-პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება მოხდეს მაღალკვალიფიციური პერსონალის მიერ;

სარეაბილიტაციო და ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები და სამშენებლო ნაგავი ტრანსპორტირებული და უტილიზირებული უნდა იქნეს შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებულ ნაგავსაყრელზე, სათანადო წესებისა და ტექნოლოგიის დაცვით.

განხორციელდეს სადერივაციო გვირაბისა და აკვედუკის კონტროლი, დადგინდეს ჰესის ტექნიკური მდგომარეობა სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების დროს.

დაევალოს ჰესის ადმინისტრაციას მდინარის წყალმცირობის პერიოდში უზრუნველყოს სანიტარული ხარჯის გატარება სათავე ნაგებობების ქვემო ბიეფში, არანაკლებ მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10 %-ს.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს დამუშავდეს ძალოვანი კვანძის და სოფ. მახუნცეთის საკანალიზაციო კოლექტორის რეაბილიტაციისა და გამწმენდი ნაგებობის პროექტი და უზრუნველყოფილი იქნეს მისი განხორციელება სარემონტო სამუშაოების დამთავრებამდე.


7. რეაბილიტაციის პერიოდში მოეწყოს სახანძრო რეზერვუარი ძალოვანი კვანძის ტერიტორიაზე (სამანქანო შენობა, ქვესადგური), რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის პერიოდში დამუშავდეს და განხორციელდეს შესაბამისი ხარძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები.
8. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში წარმოადგინოს დასკვნის პირობებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების გეგმა-გრანტი (შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის განხილვისა და შეთანხმების გათვალისწინებით);
9. ჰიდროელექტროსადგურის ეფექტური ფუნქციონირებისათვის და უსაფრთხოების გაზრდისათვის აუცილებელია სათავე ნაგებობების ზემო ბიეფში, წყალსაცავების გავლენის ზონის გარეთ, მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრთან შეთანხმებით, მოეწყოს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისი წყლის ღონის ავტომატიზირებული და ხარჯის გამზომი საგუმავო, ხოლო უშუალოდ სათავე ნაგებობებზე, სანიტარული ხარჯის აღრიცხვის მიზნით, განხორციელდეს წყალსაშვი ნაგებობების ტარირება.
10. წყალსაცავებიდან წყალდიდობის წყლის ხარჯების გატარების ან ავარიულ გაშვებების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭიროა ჩატარდეს სათავე ნაგებობის ქვემო ბიეფის არსებული მდგომარეობის გამოკვლევა, სათანადო საინჟინრო ღონისძიებების და გამაფრთხილებელი სისტემების დასახვა-განხორციელება.
11. განხორციელდეს ჰიდროელექტროსადგურის კომპლექსში შემავალი წყალსაცავების და ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობით და ექსპლუატაციით გამოწვეული უარყოფითი მორფოდინამიკური (კალაპოტის ნიშნულების ამალღება, ეროზიული პროცესები სხვა), ჰიდროლოგიური და გეოლოგიური (მეწყერები და სხვა) პროცესების შეჩერება და შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

IV. დასკვნა

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მიერ წარმოდგენილი „აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“-ს მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით.

ეკოლოგიური ექსპერტიზის
საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე:



ბ. უკლება

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)